ASB
Arbeiter-Samariter-Bund

10
წელი საქართველოში
YEARS IN GEORGIA
ZEHN JAHRE ASB IN GEORGIEN

10 წელი საქართველოში

ჩვენ ვართ არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი, მაგრამ ხალხი მოგვიხსენიებს როგორც ASB. **წარმოშობით გერმანიიდან ვართ და დიდი ისტორია გვაქვს,** უფრო კონკრეტულად კი **131 წლიანი ისტორია.** პირველად საქართველოში მუშაობა 90-იან წლებში დავიწყეთ. ჰუმანიტარული დახმარების მისიით ვეხმარებოდით ომისა და სიღატაკისგან დაზარალებულ მოსახლეობას.

1997 წლამდე, ჩვენ 7,500,000 ევროზე მეტი გავიღეთ 34,000 ადამიანზე მეტის დასახმარებლად.

2010 წელს, ჩვენ დავბრუნდით საქართველოში, მაგრამ განსხვავებული მისიით, რომელიც ფოკუსირებულია სოციალური სერვისების გაუმჯობესებაზე, იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერაზე, ისეთი აქტივობების განხორციელებაზე რაც მედეგობის გაზრდასა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებას უზრუნველყოფს ინკლუზიური მიდგომით (iDRR), ასევე საქართველოს სამარიტელთა კავშირის (სსკ) მხარდაჭერაზე.

10 წლის განმავლობაში, ASB-მ განახორციელა 20 პროექტი და გაიღო 5,500,000 ევროზე მეტი. მთლიანობაში ჩვენ 750,000 ადამიანს მოვემსახურეთ საქართველოს მასშტაბით.

We Are Ready

We help here and now

AS 600
ECHO
ASB
61 EK 623

ARBEITER-SAMARITER-BUND

ჩვენ ვახორციელებთ 4 პროექტს,

რომლებიც დაფინანსებულია ევროკავშირისა და აშშ-ს მთავრობის მიერ. პროექტები მიზნად ისახავენ ადგილობრივი თემების გაძლიერებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და პოპულარიზაციას, კონფლიქტის შედეგად გაყოფილ საზოგადოებათა შორის ნდობის აღდგენასა და მათი შესაძლებლობების ზრდას. ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის შექმნაში სამოქალაქო ჩართულობისა და პარტნიორობის ზრდას, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების საზოგადოებაში რესოციალიზაციის ხელშეწყობას.

საარსებო წყაროების
განვითარების ცენტრი
LIVELIHOOD DEVELOPMENT CENTER
ASB
საარსებო წყაროების
განვითარების ცენტრი
LIVELIHOOD DEVELOPMENT CENTER

პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად

4 წლიანი პროექტია (2018-2022), რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისა და ჩართულობის გაზრდას ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება და საჯარო-კერძო სოციალური პარტნიორობების ხელშეწყობა გახლავთ პროექტის ამოცანები ზემოთ ხსენებული მიზნის მისაღწევად.

2019 წელს პროექტის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა:

- CCC ქსელის შეხვედრები - დაესწრო 52 ადამიანი და 35 ორგანიზაციდან;
- 5 ტრენინგ-კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა CCC ქსელის წევრების შესაძლებლობების ზრდას - დაესწრო 31 ორგანიზაცია;
- სოციალური სერვისების მიწოდების ან განვითარების მიზნით გაცემული გრანტი - 5 ორგანიზაცია საქართველოს 4 რეგიონიდან;
- 5 ინდივიდუალური კონსულტაცია სხვადასხვა თემატიკაზე გრანტის მიმღები ორგანიზაციებისთვის;
- მედია კამპანია სამოქალაქო ჩართულობაზე.

წარმატების ისტორია

დასავლეთ საქართველოში, ზუგდიდში, პოზიტივით და სიკეთით სავსე პატარა სახლია. ეს „თანაზიარია“ - ხანდაზმულთა დღის ცენტრი. ცენტრს დიდი ხნის ისტორია აქვს. ის 20 წლის წინ დააფუძნა ხათუნა ბეჭვაიამ და წლებია სოციალურად დაუცველ ადამიანებს სხვადასხვა სერვისებს სთავაზობს. წლების შემდეგ კი, ხათუნას იდეა გაუჩნდა ხანდაზმულთა დღის ცენტრი გაეხსნა. დაიწყო ინფორმაციის მოკვლევა თუ რამდენად საჭირო იყო მსგავსი სერვისები. იმ დროისთვის კი ASB საქართველომ საგრანტო კონკურსი გამოაცხადა სოციალური სერვისების მიწოდებაზე საქართველოს რეგიონებში და ხათუნამ გაიაზრა, რომ ეს ზუსტად ის შესაძლებლობა იყო, რომელსაც დიდი ხანია ელოდა. შესაბამისად, მან კონკურსში მონაწილეობა გადაწყვიტა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით საპროექტო განაცხადი გააკეთა.

ASB საქართველოსა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, მათ სრულად აღჭურვეს დღის ცენტრი საჭირო ინვენტარითა და ავეჯით. დღესდღეობით, ცენტრში 12 ბენეფიციარია.

„ამ ადამიანებისთვის მეტის გაკეთება მინდა, მეტი აქტივობების დაგეგმვა და სამომავლოდ პროექტის გაფართოება. ჩვენი მოხუცებულებისთვის კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება.“

ხათუნა, დღის ცენტრის მენეჯერი

Arbeiter-
Samariter-Bund

ASB

ფოტო: გიორგი ელიზბარაშვილი

თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

სამ წლიანი პროექტია (2018-2021), რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და მხარდაჭერას. პროექტი თანხვედრაშია 2014-2016 წლების საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმასთან შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნულის პარალელურად, პროექტი ეფუძნება შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის პრინციპებს, რომელიც ხელმოწერილი და რატიფიცირებულია საქართველოს მიერ. შშმ პირთა უფლებების ადვოკატირების მიზნით განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური და ინტეგრაციის აქტივობებით დაგროვილი გამოცდილება, ASB საქართველოსა და მის პარტნიორებს (განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი და ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის) საშუალებას აძლევს ეს გამოცდილება მიმართონ სოციალური სერვისების მიმწოდებლების გაძლიერებისკენ საქართველოს რეგიონებში.



2019 წელს პროექტის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა:

- შეიქმნა გზამკვლევი შშმ პირთათვის არსებული სოციალური სერვისების შესახებ;
- ჩატარდა ქალთა გაძლიერების ტრენინგ-კურსი - დაესწრო 24 ქალი;
- ჩატარდა ადვოკატირების სემინარი - დაესწრო 18 ადამიანი;
- გაიმართა 16 საჯარო დებატი - დაესწრო 441 ადამიანი;
- სოციალური სერვისების მიწოდების მიზნით გაცემული გრანტი - 8 ორგანიზაცია საქართველოს 6 რეგიონიდან - 30 დასაქმებული ადამიანი და 90 პროექტის ბენეფიციარი.

წარმატების ისტორია

ASB საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“ ფარგლებში, სვანეთში ახლა 10 გადამზადებული ადრეული ინტერვენციის სპეციალისტია. სამი მათგანი ამჟამად 6 ბენეფიციართან მუშაობს სსკ პროექტის ფარგლებში. ვინაიდან მესტიაში სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა დაბალია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალი ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ამ სფეროს გამოცოცხლებას ახდენენ. ადრეული ინტერვენცია კი უკვე აღიარებული მეთოდია შშმ ბავშვების რეაბილიტაციის საქმეში. სსკ პროგრამის ფარგლებში, ბავშვებსა და მათ მშობლებს სვანეთის რეგიონიდან ახლა უკვე უფასოდ მიუწვდებათ ხელი მაღალი ხარისხის ადრეული ინტერვენციის სერვისებზე.

პროექტმა ადრეული ინტერვენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებასაც შეუწყო ხელი და ხელშესახებ შედეგებსაც მიაღწია ბენეფიციარებთან მუშაობაში. ASB საქართველო ამაყობს იმით, რომ ამ პროცესის მონაწილეა და უფრო მეტ ხელშეწყობას გეგმავს სერვისებზე ორიენტირებული სოციალური საწარმოების მიმართულებით. ამასთანავე, იმის უზრუნველყოფას, რომ წარმოდგენილი სერვისები ადგილობრივ საჭიროებებთან თანხვედრაშია.

„სსკ ადრეული ინტერვენციის სერვისი მესტიაში მუშაობს როგორც შშმ ბავშვებთან, ასევე მათ მშობლებთან. ცნობიერების ამაღლებაზეც გამიზნულად ვმუშაობთ. არსებულ დაბრკოლებებს ნაბიჯ-ნაბიჯ ვუმკლავდებით და უკვე თვალსაჩინო შედეგებიც გამოიკვეთა.“

ირინა კლდიაშვილი, სსკ ხელმძღვანელი

EQUAL OPPORTUNITIES FOR

PERSONS WITH DISABILITY

დევნილი და მასპინძელი თემის ეკონომიკური გაძლიერება

საქართველოში დაფინანსებულია აშშ-ს მთავრობის მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიუროს მიერ. პროექტის ძირითადი მიზანია იძულებით გადაადგილებული პირების, უკან დაბრუნებული მოსახლეობისა და მასპინძელი თემის შესაძლებლობების ზრდა. მცირე საგრანტო კონკურსებით, შესაძლებლობების განვითარების ტრენინგებით, ქოუჩინგითა და მენტორობით, ასევე სხვა აქტივობებით, ჩვენი მიზანია გავაუმჯობესოთ არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. კონფლიქტმა და ომმა უამრავ ადამიანს საკუთარი სახლის დატოვება აიძულა. 90-იან წლებში ომის დასასრულს ბევრ იძულებით გადაადგილებულ პირს სურდა სახლში დაბრუნება. თუმცა, პოლიტიკური გარემოებებიდან გამომდინარე ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის. მათ კი ვინც დაბრუნება მოახერხეს მიხვდნენ, რომ ადვილი არაა ყველაფრის თავიდან დაწყება, განსაკუთრებით უძრავი ქონებისა და ფინანსური შესაძლებლობების დაკარგვის შემდეგ.



2019 წელს პროექტის ფარგლებში ბევრი მიღწევა იყო:

- დაფუძნდა საარსებო წყაროების განვითარების ცენტრი (www.livelihood.center) ზუგდიდსა და გალში, რომელიც უზრუნველყოფს საარსებო წყაროებთან დაკავშირებული პროგრამების შეგროვებას (სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო სექტორის პროგრამები) და ინფორმაციის მიწოდებას, ასევე კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს ბიზნეს გეგმების შემუშავებისა და ფონდების მოძიების პროცესში;
- 471-მა ბენეფიციარმა მიიღო კონსულტაცია ზუგდიდის საარსებო წყაროების ცენტრისგან, 145 - მა ბენეფიციარმა მიიღო ხელშესახები შედეგი (დასაქამდა, მიიღო განათლება ა.შ);
- 75-მა ბენეფიციარმა მიიღო კონსულტაცია გალის საარსებო წყაროების ცენტრისგან, 42-მა ბენეფიციარმა მიიღო ხელშესახები შედეგი (დასაქმდა, მიიღო განათლება, ა.შ);
- 37 მცირე გრანტი გაიცა სამეგრელოს რეგიონში ბიზნესის წამოწყებისა და განვითარებისთვის;
- 15 მცირე გრანტი გაიცა გალსა და ოჩამჩირეში იგივე მიზნობრიობით;
- 97 ადამიანი სამეგრელოს, გალისა და ოჩამჩირეს რეგიონებიდან დაესწრო ბიზნეს გეგმის განვითარებისა და სოციალური უნარების ტრენინგს;
- 60 - მა მცირე მეწარმემ გალისა და ოჩამჩირის რეგიონებიდან მიიღო ფინანსური მხარდაჭერა და ჩაერთო სავაჭრო გაცვლით ტურში.

წარმატების ისტორია

გაიცანით ნინო წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან, რომელიც 47 წლისაა და უკვე 20 წელზე მეტია ხილის ჩირს აწარმოებს.

„პირველად ჩირის წარმოება ომის პერიოდში დავიწყე. ჩემს სახლში აფხაზეთიდან დევნილებს ვმასპინძლობდი და უეცრად შეიარაღებული კაცების ჯგუფი შემოიჭრა მუქარით. მათ ჩემი ჩირების სრული მარაგი შევთავაზე, რომ შეგვშვებოდნენ.“ - იხსენებს ნინო.

წლების განმავლობაში ეს საქმიანობა გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო. დროთა განმავლობაში კი პროდუქციის ფასმა მოიმატა და ეს ნინოს შემოსავალზეც აისახა. ნინოს სხვა მიზნებიც ჰქონდა - პროფესიული კოლეჯი დაამთავრა და სწავლის გაგრძელება სურდა, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. 2009 წელს ნინოს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს.

2019 წელს ნინომ შეიტყო ASB საქართველოს საგრანტო კონკურსის შესახებ და განაცხადის გაკეთება გადაწყვიტა საკუთარი ბიზნესის გაფართოების მიზნით. საბედნიეროდ, ის იმ 37 ადამიანს შორის მოხვდა, რომელთაც დაფინანსება მიიღეს სამეგრელოში და შეძლო მზის ენერგიაზე მომუშავე საშრობი დანადგარების შეძენა, რომელიც მას პროდუქციის ზრდაში ეხმარება.

დღესდღეობით ნინოს ბევრი შეკვეთა აქვს და ცნობილი ჩირის მწარმოებელია რეგიონში. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით მას უფრო მეტი პროდუქტის წარმოება და ბაზარზე გაფართოება შეუძლია.

„სიკვდილზე არ ვფიქრობდი, მინდოდა ჩემ შვილებს იმისთვის მიეღწიათ, რის მიღწევაც ჯანმრთელობის გამო მე ვერ შევძელი, მინდოდა რომ მათ ესწავლათ“

„ოჯახისთვის ძალიან რთული იყო ჩემი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა. ყველაფრის გაყიდვა მოუწიათ, საკუთარ საჭიროებებზე უარის თქმა. ახლა კი, ჩემი ბიზნესით ვცდილობ ეს ყველაფერი უკან დავუბრუნო.“

ამბობს ნინო

ფოტო: გიორგი ელიზბარაშვილი

„განათლება რეინტეგრაციისთვის - გზა საზოგადოებაში დასაბრუნებლად“

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და 2017-2020 წლებში ხორციელდებოდა ASB საქართველოს მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან - საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთსა“ და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან ერთად. პროექტის მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ბიზნეს კომპანიებსა და სამთავრობო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის გზით. საწყის ეტაპზევე შემუშავდა სოციალური კამპანია პროექტის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა (პრობაციონერები, მსჯავრდებულები და ყოფილი მსჯავრდებულები), საზოგადოების და დამსაქმებლების ყურადღების მიპყრობის მიზნით. პროექტის ფარგლებში, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს გაეწიათ ფსიქოლოგიური კონსულტაციები, ჩაუტარდათ ტრენინგები სამსახურის მოძიების, სოციალურ და ბიზნეს უნარებზე, პროფესიულ უნარ-ჩვევებზე,გადაეცათ მატერიალურ-ტექნიკური დახმარება თვით-დასაქმების, ბიზნესის წამოწყებისა და საშუალო ზომის ბიზნესის გაფართოების მიზნით, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების დასაქმების მიზნით დაარსდა სოციალური საწარმოები. პროექტი აგრეთვე მუშაობდა პოლიტიკის დონეზე, რაც გულისხმობდა საერთაშორისო მოდელის შემუშავებას კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რესოციალიზაციის მიმართულებით არსებული პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. ამ შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა სხვადასხვა კვლევითი საქმიანობის, ტრენინგების, ადგილობრივი და საერთაშორისო სემინარებისა და სასწავლო ვიზიტების საშუალებით.

პროექტის ფარგლებში:

495	ადამიანი ჩაერთო ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებაში;
462	ბენეფიციარზე მეტმა მიიღო ფსიქოლოგიური კონსულტაციები;
328	ბენეფიციარმა გაიარა ტრენინგი სოციალურ და სამუშაოს მოძიების უნარ-ჩვევებზე;
172	ბენეფიციარმა გაიარა ტრენინგი ბიზნეს უნარების განვითარების კუთხით;
84	ადამიანმა გაიარა სტაჟირება 25 სხვადასხვა პროფესიაში;
90	ადამიანმა მიიღო სამუშაო იარაღები და ხელსაწყოები თვით-დასაქმებისთვის;
51	ბენეფიციარმა მიიღო მატერიალურ-ტექნიკური დახმარება მცირე ბიზნესის დასაწყებად ან გასავითარებლად;
10	მეწარმემ მიიღო საჭირო ინვენტარი ბიზნესის გასაფართოებლად;
12	ბენეფიციარი დასაქმდა ბიზნეს კომპანიებში;
70	მსჯავრდებულმა დაასრულა პროფესიული გადამზადების კურსები 5 სხვადასხვა პროფესიაში, N5 და N16 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;
8	სოციალური საწარმო დაფუძნდა, რომელშიც 40-ზე მეტი მსჯავრდებული, ყოფილი მსჯავრდებული და პრობაციონერი დასაქმდა.

პროექტმა უზრუნველყო 163 ადამიანის დასაქმება

#16 პენიტენციურ
დაწესებულებაში გაიხსნა სოციალური საწარმო, სადაც მსაჯვრდებულები არიან დასაქმებულნი

მთლიანობაში **125455 ევროს**
ღირებულების მატერიალურ-ტექნიკური დახმარება
გაეწია **151 ბენეფიციარს**

წარმატების ისტორია

ზურა 40 წლისაა, მშენებელი ზუგდიდიდან, ყოფილი პრობაციონერი, რომელიც ციხიდან უკვე ორი წელია გაათავისუფლეს. სასჯელის მოხდის შემდეგ ზურას სირთულეები შეხვდა სამსახურის მოძიების კუთხით, საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და სტერეოტიპების გამო კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ.

2017 წელს ზურამ ASB საქართველოს საგრანტო კონკურსის შესახებ შეიტყო და პროექტის იდეა გაუჩნდა. ზურამ წარმატებით მიიღო მონაწილეობა კონკურსში და გაიარა სტაჟირება შემდუღებლის სპეციალობით.

სტაჟირების დასრულების შემდეგ, ზურამ მიიღო შემდუღებელი აპარატი და სხვა საჭირო აღჭურვილობა თვით-დასაქმებისთვის.

მას შემდეგ ზურა აქტიურად მუშაობს, საკმაოდ ბევრი შეკვეთა აქვს სხვადასხვა დამსაქმებლისგან და სათანადო ანაზღაურებასაც იღებს.

ფოტო: გიორგი ელიზბარაშვილი

სსკ

საქართველოს
სამარიტელთა კავშირი

2013 წლიდან საქართველოს სამარიტელთა კავშირი (სსკ) ახორციელებს ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამას სოფელ კავშირში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. პროგრამა ეფუძნება „პორტიჯის“ მეთოდოლოგიას.

2015 წელს სსკ ოფიციალურად დარეგისტრირდა, როგორც ბავშვთა ადრეული განვითარების სერვისების მომწოდებელი. 2017 წლის 1 ოქტომბერს ავსტრიის განვითარების სააგენტოს, ავსტრიული ფონდი AMINA-სა და ASB გერმანიის ფინანსური მხარდაჭერით, სსკ-მ მსგავსი სერვისები წამოიწყო გორში. ხოლო 2019 წლის აგვისტოში სერვისის მიმწოდებლად დარეგისტრირდა გორსა და მის შემოგარენში მდებარე სოფლებში. ადრეული ინტერვენციის მესამე სერვისი სსკ-მ მესტიაში წამოიწყო, 2019 წელს.

პროექტი ერთ წელს გასტანს და მიზნად ისახავს 20-მდე ბენეფიციარი მოიცვას.

ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის ვაუჩერული სისტემა პროექტის ფინანსური მდგრადობის გარანტიაა.

2019 წელს სსკ-მ წარმატებით განახორციელა შემდეგი პროექტები და პროგრამები:

მიმდინარე პროექტების მდგრადობა გარანტირებულია.